სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 96/1

ქ. თბილისი

„ 23" მარტი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ნინო თოფურიძის სახით და მეორეს მხრივ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე თეიმურაზ ლეკიშვილის (შემდგომში ,,მიმწოდებელი") სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. სტანდარტები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად სატრანსპორტო საშუალება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში არსებულ სტანდარტებს, შემსყიდველის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს და უნდა იყოს:

2.1.1. საექსპლუატაციოდ ტექნიკურად გამართული და კომფორტული სალონითა და სავარძლებით;

2.1.2. ტრანსპორტირების დროს დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ყველა ნორმა;

2.1.3. აღჭურვილი უნდა იყოს გათბობა-კონდენცირების გამართული სისტემით

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ნინო თავაძის *2018 წლის 23 მარტის მ/ბ #15/02-903.1 -ის თანახმად* უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ 2018 წლის 23 მარტს დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილე სტუდენტებისთვის *„სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად" (CPV 60170000)* სახელმწიფო შესყიდვა, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

3.2. ტრანსპორტირება 2018 წლის 23 მარტი;

3.2.1. მარშრუტი: თბილისი-წეროვანი-თბილისი;

(მომსახურება დასახელებულ ტერიტორი(ებ)ზე მთელი ვიზიტის ხანგრძლივობის განმავლობაში)

3.2.2. ვიზიტის ხანგრძლივობა - 1 დღე;

3.2.3. მგზავრების რაოდენობა ± 20 მგზავრი.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: *150 (ას ორმოცდაათი) ლარს.*

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ შემსრულებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება *ამავე უნივერსიტეტის 2018 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სახსრების ფარგლებში.*

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და მიღება-ჩაბარება

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შესაძლებელია იწარმოოს თითოეული ვიზიტის შემდგომ ეტაპობრივად. შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ან/და ერთჯერადად ბოლო ვიზიტის შემდგომ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არაუმეტეს 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. *შემსყიდველი უფლებამოსილია:*

- ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

6.2. *შემსყიდველი ვალდებულია:*

- უზრუნველყოს მიმწოდებლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს *ამავე უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ნინო თავაძე.*

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, 2 (ორი) ეგზ შემსყიდველთან და 1(ერთი)ეგზ მიმწოდებელთან.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მ / ბ თეიმურაზ ლეკიშვილი
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61	ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N6/2
საინდიფიკაციო კოდი: 205224700	პირადი N 01011066206
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა	სს „ საქართველოს ბანკი "
ბანკის კოდი TRESGE22	ბანკის კოდი BAGAGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 709047004	ანგარიში: GE20BG 0000000724381900
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	
ნინო თოფურიძე	**თ. ლეკიშვილი**